საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან 10 ფაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Райкома Совета народных депутатов

№79 (6305) სამშაბათი 3 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 29 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე განსახილველად შეტანილი იყო სკკპ მომავალი XXVIII ყრილობის საკითხები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

გაიმართა კამათი.

პლენუმმა მოიწონა ძირითადი დებულებები მოხსენებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები“ და დაავალა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, დახვეწოს იგი გამართული განხილვის შესაბამისად. პლენუმმა დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს მოხსენება გააკეთოს ყრილობაზე.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების —„ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები შეიტანოს ყრილობის განსახილველად.

საბოლოო სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ჩვენი დღეების ადამიანები

ჩვენს გვერდით

ვინც ლასხანელ დოდო მეშველიანს შეხედავს, თვალში მოხვდება მისი ნაშრომ-დაკოჟრილი ხელები, მაგრამ ეს როდი ჩრდილავს მის ქალურ სინაზეს, სილამაზეს.

დოდოს სოფელში კარგ რძალს ეძახიან, მოსიყვარულე მეუღლეს და დედას.

დოდო და მისი მეუღლე ალიოშა საიჯარო შრომაში ჩაებნენ. ვაზსაც და სიმინდის ყანასაც ერთნაირი გულმოდგინებით უვლიან.

ახლა ერთბაშად მოზღვავდა საქმე სოფლად, ნაადრალ ვაზს შეწამვლა სჭირდება, გულგაფუებული მიწა თუ სიმინდს გულდაგულ არ შემოუყარე, ისე არ ივარგებს, ტენს ვერ დაიგროვებს.

აქეთ აბრეშუმის ჭიის მოვლა. არ ყოფილა წელიწადი 50-55 კილოგრამი პარკი არ ჩაებარებინოს. ახლაც „წასული“ იქნებოდა ჭია, მაგრამ ისე მოხსნა პირი ამ დალოცვილმა ბუნებამ, რომ ჭიაც გაზარმაცდა, არ ეჩქარება ცახებზე შესვლა.

100 კილოგრამამდე პარკს გვპირდება სეზონის ბოლოსათვის გამრჯე ქალი.

დოდოს კარ-მიდამოში რომ შეიხედოთ, იგრძნობა, რომ აქ ჯარასავით ქალი ტრიალებს, მისი მზრუნველი მარჯვენა სახლსაც ატყვია და ეზოსაც.

ასეთი ქალებია ერისა და სოფლის დედა-ბურჯი, დედა-ბოძი.

ზორენა ყვირილიანი.

რაიონული საბჭოს სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 ივნისს გაიმართა ცაგერის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთორმეტე სესია დღის წესრიგით:

1. სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

3. სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის შექმნის შესახებ.

4. ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარის დამტკიცების შესახებ.

5. ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

6. რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის თავისუფალი ზეგეგმური ნაშთის განაწილების შესახებ.

7. რაიონში ვლეხური მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სესიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა კ. ს. მუშკუდიანმა სესიის მონაწილეებს გააცნო დებულება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

სესიამ დეპუტატ ნ. ცვარიანის წინადადებით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით აირჩია საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი, დეპუტატი **ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით დასახელდა ორი კანდიდატურა. დახურული (ფარული) კენჭისყრით სესიამ სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია დეპუტატი **ომარ მიხეილის ძე ჭაბუკიანი.**

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით სესიამ დაამტკიცა სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი 11 დეპუტატის შემადგენლობით. პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: **ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა, ომარ მიხეილის ძე ჭაბუკიანი, დავით იაკობის ძე სვანიძე, კობა ლავრენტის ძე ფრუიძე, რამაზ რაფიელის ძე კოპალიანი, კარლო სევარიონის ძე მუშკუდიანი, დავით კაპიტონის ძე კოპალიანი, გულნაზ რაფიელის ასული კოპალიანი, მელსი დავითის ძე ყურაშვილი, ნოდარ პლატონის ძე ცვარიანი, ნოდარ სიმონის ძე ნემსაძე, ონერ შალვას ძე ნემსწვერიძე, პიერ პიმენის ძე ფუტკარაძე.**

სესიამ რაიონული საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **კუკური პარიმონის ძე ხეცურიანი.**

სესიამ გააერთიანა ქალთა შრომის, დედათა დაცვის საკითხების და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიები ერთ კომისიად და კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა დეპუტატი **დავით კაპიტონის ძე კოპალიანი.**

საკითხზე რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის თავისუფალი ზეგეგმიური ნაშთის განაწილების შესახებ სესიას მოახსენა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ კ. ხეცურიანმა და სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სეზონის წინ

გაზრდილია შესყიდვის ფასები

მიმდინარე წელს რაიონში უნდა დამზადდეს 7400 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, რომლის რეზერვი და შესაძლებლობა რაიონის საზოგადოებრივ თუ საკარმიდამო მეურნეობებში თავისუფლად არის. ხილის დამზადების სეზონის წინ მოსახლეობას უნდა ვაუწყოთ, რომ 1990 წლის სეზონზე გადიდებულია კურკოვანი და თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასები. კერძოდ, სამრეწველო გადამუშავებისათვის ვარგისი ერთი კილოგრამი პირველი ხარისხის ვაშლის ფასი 50 კაპიკია, მეორე ხარისხის—40 კაპიკი. ერთი კილოგრამი პირველი ხარისხის საადრეო ვაშლის ფასი პირველ სექტემბრამდე 54 კაპიკია, მეორე ხარისხის—45 კაპიკი, არასტანდარტულისა კი—30 კაპიკი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩაბარებული ხილი აუცილებელია იყოს ხარისხიანი.

სამრეწველო გადამუშავებისათვის საჭირო ერთი კილოგრამი მსხლის ფასი 45 კაპიკია, „კაიფერას“ ჯიშის მსხლისა კი—30 კაპიკი, ერთი კილოგრამი ქლიავის და კოშის ფასი 55 კაპიკია, ტყემლისა და ალუჩის კი—45 კაპიკი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 30 მაისის დადგენილების მიხედვით მოსახლეობაზე ჩაბარებული პროდუქციის ღირებულება გაცემული იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიმდინარე სეზონიდან ჩამბარებლებთან ანგარიშსწორება მოხდება ნაღდ ანგარიშზე.

საქსოფლდამზადების რაიონულ გაერთიანებას გადაწყვეტილი აქვს ხილის დამზადების სეზონი დაიწყოს მიმდინარე წლის 15 ივლისიდან, ამჟამად კი ყველა ღონისძიება ტარდება ხილის მიმღები პუნქტების შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების მიზნით, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები გაფრთხილებული არიან წერილობით, ოფიციალური სახით წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები, აუცილებელია შეირჩეს ისეთი ადამიანები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობას, პატივისცემას იმსახურებენ, პასუხგებაში არ არიან ნამყოფი და ნასამართლევი.

საჭიროა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა მეტი გულშემატკივრობა და აქტიურობა გამოიჩინონ როგორც კადრების შერჩევის, ასევე საკარმიდამო თუ საზოგადოებრივ მეურნეობაში არსებული ხილის სახელმწიფოსათვის ჩაბარებისა და საგეგმო დავალების შესრულების საქმეში, რასაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ჩვენ კი, გაერთიანების მშრომელები ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ხილის მიღება წარიმართოს უწყვეტად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე და მისი გადაზიდვის საქმეში არავითარი შეფერხება არ იყოს.

ნ. სალინაძე,

საქსოფლდამზადების ცაგერის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე.

რაიონული საგზაო სესია

(დასასრული).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე—რაიონში გლეხური მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ — მოხსენებით გამოვიდა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე **ო. შ. ნემსწვერიძე.**

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგვამო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **კ. ხეცურიანმა,** ცაგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ზ. ჩიქოვანმა,** ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ჭაბუკიანმა,** ალპანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ო. კვენტაძემ,** რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქტორმა, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ. ნემსაძემ;** ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **გ. ხვადაგიანმა,** უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ტ. ლეთოდიანმა.**

მიღებული გადაწყვეტილებით სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობის დირექციას დაევალათ მიმდინარე წლის 15 ივლისამდე გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით შექმნან ადგილობრივი კომისიები და მათთან ერთად უზრუნველყონ:

მიმდინარე წლის ივლისის ბოლომდე შრომითი კოლექტივების (წარმომადგენელთა) კრებების ჩატარება, განცხადებების მიხედვით განსაზღვრონ თითოეულ მეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მსურველთა და კომლთა რაოდენობა, საშუალოდ ერთ შრომისუნარიან და კომლზე სახნავის, ბაღის, ვენახისა და სათიბ-საძოვრის ფართობების გაცემის შესაძლებლობანი.

მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ძირითადი ქონების, სასაქონლო—მატერიალურ ფასეულობათა, საბრუნავი სახსრების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, მოახდინონ იჯარით გაცემული პირუტყვის აღწერა და სქესობრივ, ასაკობრივი და წონითი მონაცემების შედარება საბუღალტრო ჩანაწერებთან.

მოამზადონ წინადადებანი გამონთავისუფლებულ შენობა-ნაგებობათა, საზოგადოებრივი პირუტყვის, სხვა ძირითად და საბრუნავ საშუალებათა გამოყენების შესახებ.

განსაზღვრონ სახელმწიფო სესხების, აგრეთვე სხვა დავალიანებათა დაფარვის წყაროები.

დაამუშაონ კონკრეტული წინადადებები იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი წარმოების მოცულობა შენარჩუნებულ იქნას იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს რაიონში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებას.

გადაწყვეტილებით 1990 წლის 1 აგვისტოდან გაუქმებულ იქნას რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, დამზადების რაიონული გაერთიანება და ავტოტრანსის რაიონული საწარმო. აღნიშნული ორგანიზაციებისა და საწარმოების ბაზაზე შენარჩუნებული საზოგადოებრივი საწარმოების და გლეხური მეურნეობების მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ორგანიზაციის მიზნით 1990 წლის 1 სექტემბრიდან შეიქმნას საწარმოო-ტექნიკური მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის რაიონული გაერთიანება, რომლის მართვის აპარატი განისაზღვროს 15 საშტატო ერთეულით.

საწარმოო-ტექნიკური მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის რაიონულ გაერთიანებას დაევალა გაუქმებული კოლმეურნეობების ბაზაზე ცალკეული სოფლების მიხედვით შექმნას მატერიალურ - ტექნიკური მომსახურების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის საწარმოები—კოოპერატივები — ნაკლებ იზებული რაზმები, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან რაიონულ გაერთიანებას.

გამონახოს სამრეწველო და სხვა ორგანიზაციები გამოუყენებელ ძირითად საშუალებებში (მეცხოველეობის ყოფილი ფერმები, გამგეობათა კანტორები და სხვა) დამხმარე სასოფლო და სამრეწველო საწარმოთა ფილიალების შექმნისა და მოწყობისათვის.

დამტკიცდა რაიონის სახოგადოებრივ მეურნეობებში გლეხურ მეურნეობებზე გადასვლასთან დაკავშირებით რაიონული საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით შექმნილი რაიონული კომისიის შემადგენლობა და რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გლეხურ მეურნეობებზე გადასვლისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ე. კ. გუგავამ.**

დრო ადნობს ყინულს

მ. ს. გორბაჩოვის სახელმწიფო ვიზიტი შეერთებულ შტატებში ორივე მხარის აზრით მეტად სასარგებლო იყო.

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა იგი როცა შეაფასა, განაცხადა: „მე მეტად კმაყოფილი ვარ საბჭოთა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვთან უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებით. რა თქმა უნდა,

არის ზოგიერთი პრობლემები, და ჩვენ არასოდეს გვითქვია, რომ ისინი არ არის, მაგრამ ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გვესაუბრა მათ შესახებ".

ვიცე-პრეზიდენტ დ. კუეილს, რომელსაც აგრეთვე შეხვდა მ. ს. გორბაჩოვი, მიაჩნია, რომ ვაშინგტონშიც და კემპ-დევიდშიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა მიაღწიეს ურთიერთგაგების გაუმჯობესებას რიგ დელიკატურ საკითხებში, რომლებიც აქამდე მათ ყოფდა.

თუ ვილაპარაკებთ ვიზიტის ზოგიერთ შედეგებზე, მაშინ ისინი, შესაძლოა, არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურებიან. მართლაც, ჯერ კიდევ არ არის დადებული ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ და არც ვიცით, ხელმოწერილი იქნება თუ არა იგი წლის ბოლომდე (ჯერჯერობით კი მხარეებმა მიიღეს მხოლოდ ერთობლივი განცხადება მომავალი ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ); ხელმოწერილი შეთანხმება ვაჭრობის შესახებ ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას; არსებობს განსხვავება გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტებსა და რიგ სხვა პრობლემებზე.

მაგრამ უმაღლესი დონის შეხვედრის მნიშვნელობა აშკარად სცილდება ამჟამინდელი კონკრეტული შედეგების ფარგლებს, თუმცა ისინიც არსებობდა ამ შეხვედრაზე: ხელმოწერილია უმნიშვნელოვანესი შეთანხმება ქიმიური შეიარაღების შესახებ, ოქმი ატომური გამოცდის ხელშეკრულების თაობაზე, შეთანხმებანი მარცვლეულით ვაჭრობის, საჰაერო მიმოსვლის, საზღვაო ნაოსნობის, სტუდენტთა გაცვლის გაფართოების შესახებ და ა. შ. მაგრამ მთავარი, როგორც ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსმა" აღნიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ ბუშ-გორბაჩოვის შეხვედრები გახდა „არა იმდენად ერთდროული მოვლენა, რამდენადაც პროცესი". ეს კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, იმის გარანტიაა, რომ შეავიწროვებს მომავალ უთანხმოებათა სფეროს, გარანტიაა ახალ ხელშეკრულებათა მიღწევისა.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ვიზიტის ატმოსფეროზე. მილიონობით ტელემაყურებელმა უკვე ნახა ნეშმარიტად გრანდიოზული მიღება, რომელიც გაუწიეს ჩვენ პრეზიდენტს უბრალო ამერიკელებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ მ. ს. გორბაჩოვსა და ჯ. ბუშს შორის დამყარდა კარგი, თბილი, პირადი ურთიერთობა. როგორც ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა პრესკონფერენციაზე ამერიკის დედაქალაქში, მოლაპარაკების დროს მხარეებს არ უცდიათ ერთმანეთისთვის ეკარნახათ, ხოლო ჯ. ბუშმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ისწრაფვის საქმე აწარმოოს ძლიერის ან სისუსტის პოზიციიდან.

ეს იყო მ. ს. გორბაჩოვის მესამე შეხვედრა ჯ. ბუშთან. პირველი გაიმართა 1988 წლის ბოლოს, როდესაც დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აირჩიეს, მაგრამ თანამდებობა ჯერ კიდევ არ ეკავა. ერთი წლის შემდეგ კი შეხვედრა მალტაში და აი ახლა—ვაშინგტონში. სულ წელიწადნახევარი აშორებს მაშინდელ და ახლანდელ შეხვედრებს, მაგრამ რა ბევრი რამ შეიცვალა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში! მკვეთრად შემცირდა ომის საფრთხე, კონფრონტაციიდან ჩვენ სულ უფრო მეტად გადავდივართ თანამშრომლობაზე, რასაც ნაკლებად როდი უწყობს ხელს ახალი პოლიტიკური აზროვნება საბჭოთა კავშირში, საჯაროობის განვითარება, დემოკრატიული პროცესები.

გვახსოვს, მალტის ნაპირებზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ „ცივი ომის" ეპოქა ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში დასასრულს უახლოვდება. ახლა კი, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა და აზრთა სხვაობისა, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მიხი ყინულები გადნა. და ამაშია, როგორც ჩანს—ვიზიტის მთავარი შედეგი.

ჩვენ გვწერენ

რა უჭირს სოფელს?

სოფელი ლასხანა რაიონული ცენტრიდან ოთხოოდე კილომეტრითაა დაშორებული, ლამაზია ბუნებითა და მშრომელი ხალხით.

ყველას გვიყვარს მშობლიური ბუდე, ან როგორ არ უნდა გიყვარდეს, მაგრამ ბევრი რამ სტკივა სოფელს. სოფელში არ არის კლუბი, სპორტული მოედანიც კი, რომ ახალგაზრდამ გული გაიხალისოს მაინც.

ჩემს სოფელში სამოცამდე კომლი ცხოვრობს. თითქმის ყველა ოჯახშია ახალგაზრდა, მაგრამ იმას თუ იკითხავთ, სად მუშაობენ: მოსწყინდათ მიყრუებულ სოფელში ცხოვრება და თავის საშველად ქალაქში წავიდნენ. უჭირს. ძალიან უჭირს სოფელს უგზოობით, უჭირს ზაფხულშიც. ზამთარშიც. ზამთარში მით უფრო, მეწყერიანობის დროს მოწყვეტილი ვართ რაიონს. როდის დაადგება საშველი სოფლის გზას, რომ ნორმალურად გამოიყურებოდეს, ღმერთმა იცის.

ჩემი სოფლის მოსახლეობა მშრომელი და მუყაითი ხალხია, მაგრამ მუშაობასთან ერთად დასვენებაც გვიყვარს. სოფელში კი საამისოდ არავითარი პირობა არ არსებობს.

სოფლის კეთილმოწყობისათვის ბევრის გაკეთება შეიძლება. აქ ახალგაზრდობასაც ბევრი რამ შეგვიძლია. მაგრამ გაძღოლა გვჭირდება და პატრონი.

შ. ყვირიღიანი.
სოფ. ლასხანა.

მოსკოვი. სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „პურპროდუქტების" პავილიონში დემონსტრირებულია „ელევატორმელმაშის" ქარხნების მიერ გამოშვებული ტექნოლოგიური დანადგარების და სახალხო მოხმარების საქონელი. 120 ექსპონატი წარმოადგენს წისქვილების, ელევატორებისა და კომბინირებული საკვების ქარხნებისათვის თანამედროვე ტექნიკას, აგრეთვე გადამამუშავებელ დარგებში გამოსაყენებელ ლაბორატორიულ მოწყობილობას.

სურათზე: გამოფენის ერთერთი ექსპონატი.

ს. პანოვის ფოტო.

მაგისტრალებს, სასოფლო გზებს — ლამაზი იერი, ჩვენი გულისყური!

პრობლემებს დავძლევთ

თანამედროვე ცხოვრების პირობებში აუცილებლობას წარმოადგენს საავტომობილო გზები, ხოლო გზის სილამაზე, მისი კეთილმოწყობა და საიმედოობა ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნად იქცა. სწორედ ამან განაპირობა, რომ რაიონში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა რესპუბლიკური და სასოფლო გზების მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

დღეის მდგომარეობით ჩვენს რაიონში არ არის არცერთი სოფელი, რომელთანაც არ იყოს მისასვლელი საავტომობილო გზა, ხოლო ქუთაისთან, წყალტუბოსთან, ლენტეხთან და ამბროლაურთან ცაგერის რაიონი დაკავშირებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზებით.

ჩვენი რაიონის ბევრ უბანში გააქტიურებულია მეწყერული მოვლენები, ამიტომ ზოგიერთ სოფელში თუ დასახლებულ პუნქტში გზის მშენებლობა და მისი ექსპლოატაცია დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

რაიონის საავტომობილო გზებისა და მაგისტრალების იერ-სახე სრულყოფილად არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს და მათი კეთილმოწყობის და გალამაზების ამოცანების შესრულება დიდ შრომას მოითხოვს გზის მშენებელი კოლექტივისაგან.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო საავტომობილო გზების მშენებლობა-კეთილმოწყობას. თანამედროვე კომფორტულ ტრანსპორტს შესაბამისი ხარისხის გზა ესაჭიროება, ეს პრობლემა არა მარტო ჩვენი რაიონის, არამედ რესპუბლიკისა და მთელი კავშირის მასშტაბით დგას დღის წესრიგში.

ცაგერის საგზაო სამმართველოს შრომითი კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გააუმჯობესოს რაიონის საავტომობილო გზების ხარისხი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკური გზის—წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის — რეკონსტრუქცია-გაფართოვების სამუშაოები, რომელსაც №23 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველო ასრულებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გზის იმ ძირითად მონაკვეთებზე, რომელიც ცაგერს აკავშირებს წყალტუბოსთან, სწრაფი ტემპით და მაღალხარისხოვნად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია - გაფართოების სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მიმოსვლის ხარისხი.

მგზავრები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ, რომ წყალტუბო-ცაგერის გზის თითქმის მესამედზე მიმდინარეობს რეკონსტრუქციის სამუშაოები და გადათხრილია გზა, რაც აძნელებს ტრანსპორტის მოძრაობას, მაგრამ ერთ კვირაში დამთავრდება კოწოლაურის 19-22 კილომეტრის გზის მონაკვეთის მთლიანი მოასფალტება. ივლისის ბოლომდე დამთავრდება ღვედის 29-30 კილომეტრიანი მონაკვეთი. 1 აგვისტოდან დაიწყება სარეწკელა-ზუბის 44-50 კილომეტრის მოასფალტების სამუშაოები, რომელიც წლის ბოლოსათვის დამთავრდება.

მომავალში გავითვალისწინებთ მგზავრთა და ტრანსპორტის მფლობელთა შენიშვნებს და გზების რეკონსტრუქციას მოვახდენთ სხვა მეთოდით, რამდენი კილომეტრიც გაფართოვდება, იმდენი მოასფალტდება.

რესპუბლიკურ გზებს ჩაუტარდა ორმოული შეკეთება, გადახალისდა, შეიღება საგზაო ნიშნები, გაიწმინდა სანიაღვრე არხები. მიმდინარეობს ხიდების რემონტი, სულ მალე რესპუბლიკურ გზებზე არსებული ყველა ხიდი გარემონტებული და კეთილმოწყობილი იქნება. ძირითადად შეიცვლება მგზავრთა მოსაცდელები ლამაზი, მიმზიდველი და მოხერხებული კონსტრუქციების მოსაცდელებით. წესრიგში იქნება მოყვანილი გზის ნაპირებზე მდებარე სასმელი წყლის წყაროები, თვალისჩინივით ვუვლით და მომავალშიც მოვუვლით გზის სანაპიროზე გაშენებულ და გახარებულ მწვანე ნარგავებს.

რაც შეეხება სასოფლო გზების კეთილმოწყობას, აქ საგზაო სამმართველომ თავისი კორექტივი შეიტანა, თუ ადრე გზების რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის გამოყოფილი თანხით ვახდენდით რაიონში არსებული ყველა გზების დახრეშვით სამუშაოებს, რომლებსაც თავისი პარამეტრები არ გააჩნდა და მეორე წელსვე ისევ სარემონტო იყო, ახლა სამმართველომ დაიწყო სასოფლო გზების კაპიტალური მშენებლობა, რომლის შემდეგ გზას ექნება ის პარამეტრები, რაც დასაშვებია საავტომობილო გზისათვის. ასეთი მშენებლობები უკვე დაწყებულია ლაძგვერია-ოფიტარის, ოფიტარა-ისუნდრის, ოფიტარის, კვირიტაურა-ზუბის, ალვის ხიდი—ბუმკუდიანების უბნის, ჭონოული-ჩქუმი-ქულბაქის, ცაგერი-გვესოგველემბარის, ზედა და ქვედა საირმის გზებზე. უახლოეს პერიოდში დაიწყება სანორჩის გზის მშენებლობა.

კაპიტალურ მშენებლობას საჭიროებს სურმუშის, ლაილაშითაბორის, ლაჯანა-უსახელოს, ალპანა-ღვირიში, ღვირიში-ნასპერის, ღვირიში-ნაკურალეშის, ქვედა ცაგერი-ლასურიაში-ალვის და ლასურიაში-ლესინდის გზები. სამმართველო ყველა ღონეს ხმარობს მოაწყოს ამ გზების მშენებლობის დაპროექტება, რაშიც დაგვჭირდება ზემდგომი ორგანოების დახმარება.

ჩვენი ორგანიზაცია თავს ვერ იმართლებს სოფელ ნასპერის მშრომელების წინაშე, ვინაიდან მათ თითქმის 3 წელია ვპირდებით ღვირიში-ნასპერის გზის მშენებლობა -კეთილმოწყობას. ახლა გვაქვს შეთანხმება სამინისტროსთან და გზის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება და სიტყვიერ დაპირებას პრაქტიკულ საქმედ ვაქცევთ.

საგზაო სამმართველო წელიწადნახევარია შეიქმნა რაისაგზაოს ბაზაზე, არ გაგვაჩნდა საკუთარი საქმიანი ეზო, არ გვქონდა სამუშაო პირობები. დღეს ეს პრობლემები უკვე გადაწყვეტილია, ამასთან სამმართველო დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების კვალიფიციური კადრებით. შევიძინეთ უახლოესი ტიპის 15 ერთეულამდე ახალი მანქანა-მექანიზმები. სამმართველო თანდათან ძლიერდება, და იქმნება მაგისტრალებისა და სასოფლო გზების კეთილმოწყობა-გამშვენიერების პირობები.

პრობლემები ძალზე ბევრი გვაქვს, მაგრამ ვპირდებით ლეჩხუმის სოფლის მშრომელებს, რომ ორ წელიწადში ყველა სოფელში შევიყვანთ კეთილმოწყობილ საავტობუსო გზას.

ა. კვირკაშვილი.

ცაგერის საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება

ეოზარდის სუფთა სული გვაკვალებს

ბავშვის აღზრდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საქართველოს მომავალი ბედი, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა თვისებებით იქნება შეიარაღებული მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორი მსოფლმხედველობა, მრწამსი ექნება მას.

მოსწავლეთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების, მათში მაღალი ზნეობრივი თვისებების აღზრდის გზების, ხერხების, მეთოდების, საშუალებების მეტად მდიდარი არსენალი მოგვეპოვება. მათი ეფექტური გამოყენებისათვის ერთნაირად უნდა ზრუნავდეს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, ეს მოთხოვნები ახალშინაარს იძენს ეროვნული სკოლის კონცეფციით გათვალისწინებული ცალკეული ამოცანების განხორციელების პროცესში. წარმოუდგენელია მოზარდის სწორად აღზრდა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირის გარეშე.

ბავშვის წესიერად აღზრდა ოჯახის უპირველესი ფუნქციაა. მშობლებს დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა აკისრიათ მომავალი თაობის სწორად ჩამოყალიბებაში. მშობლის მაგალითს დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. იგი თვითონ უნდა იყოს მაღალზნეობრივი.

დღევანდელი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გამო მოსწავლეებიც აღშფოთებული არიან. შეინიშნება ნერვოზული რეაქციები, ამიტომ მაღალზნეობრივი პიროვნების აღზრდის რთული პირობები გადაჭრით მოითხოვს, რომ საზოგადოების ყველა წევრმა სერიოზულად მოკიდოს ხელი ახალგაზრდობის აღზრდას.

ზუბის საშუალო სკოლის დირექცია მშობლებთან მუშაობაში წამყვან როლს ანიჭებს კლასის ხელმძღვანელს, რადგან ძირითადად იგი ზრუნავს მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაზე. კლასის ხელმძღვანელები მშობლებს უჩვენებენ კონკრეტულ. გზას შვილების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისათვის. მშობლებთან აღზრდის საკითხზე ხშირად ვატარებთ კითხვა-პასუხის საღამოებს, ვმართავთ დიალოგს, რომელზედაც თემები მშობელთა სურვილების გათვალისწინებით ირჩევა.

ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მშობლების ამბოლუტურმა უმრავლესობამ კარგად იცის სკოლის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების სირთულეები. ისინი აღღოს უღებენ დღევანდელ სიტუაციას, შვილებთან ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას, მოხერხებულად უნერგავენ სწავლისა და შრომის სიყვარულს, უფროსებისადმი პატივისცემას, ამის შედეგიცაა, რომ სკოლაში არ გვყავს ძნელად აღსაზრდელი ან ცუდი მიდრეკილების მქონე ბავშვი. 80 მოსწავლიდან ფრიადოსანია 11, ხოლო კარგოსანია 27. არ გვყავს არცერთი მეორეწლიანი.

თითო-ოროლა, მაგრამ მაინც გვყავს ისეთი მშობლები, რომელთა ოჯახებში დარღვეულია ოჯახური რეჟიმი, ზოგიერთი მშობლები ხშირად ჩხუბობენ ერთმანეთში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აღსაზრდელის ფსიქიკაზე, ასეთ მშობლებთან კლასის ხელმძღვანელები იღებენ ქმედით ზომებს მდგომარეობის შესაცვლელად. სკოლის დირექციას ახლო კავშირი აქვს იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, სადაც არამყარი ოჯახის წევრები მუშაობენ. ასეთ ოჯახებთან მუშაობაში აქტიურობს მშობელთა კომიტეტი.

მოსწავლეთა მშობლების კარგად გაცნობის მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში კლასში ვატარებთ მოფიქრებულ საკითხებზე წერას. მოსწავლეთა უმრავლესობა გულახდილია და ზუსტ ცნობებს იძლევა თავისი მშობლების შესახებ. ამის შემდეგ სკოლა სწორად გეგმავს და წარმართავს მათთან მუშაობას.

გასულ სასწავლო წელს IX კლასის მოსწავლეებს ვაწერინეთ თემა „რამდენიმე წუთით ჩემს ოჯახში". ერთი ბავშვი, რომელსაც უჭირს სწავლა, წერს: „...მასწავლებელო, მეზარება სახლში მისვლა, დედა და მამა სულ ჩხუბობს, მე ვგრძნობ, რომ დედა დამნაშავეა, ოჯახში 7 ბავშვი ვართ, ჩვენთვის მშობლებს არ სცალიათ, ჩვენ თვითონ ვუვლით ერთმანეთს, არ მინდა სწავლა..."

ჩავატარეთ კლასის მშობელთა კრება, მშობელი არ გამოცხადდა, იგი არც მომდევნო კრებაზე გამოცხადდა. მივმართეთ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სადაც მუშაობდა, მათგან არცთუ სახარბიელო სიტყვიერი დახასიათება მოვისმინეთ. სკოლის პედკოლექტივმა და ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ახლო ურთიერთობა დავამყარეთ ამ ოჯახთან. პედაგოგიური ხასიათის საუბრების ჩატარებით ნაწილობრივ შეიცვალა მდგომარეობა, რაც მთავარია, სიახლე დაეტყო ბავშვების სულს.

ჩვენი სკოლის ყველა მუშაკს კარგად ესმის, რომ პიროვნების ჩამოყალიბება უაღრესად რთული და ძნელი პროცესია, ყველაფერს ვაკეთებთ ამ სიძნელეთა დაძლევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზუბის საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებელი პირობებია აღსაზრდელთა სწავლისა და აღზრდისათვის, ჯერჯერობით ამ საქმეში კვლავ გვაქვს ნაკლოვანებები. ეს ჩვენ კარგად ვიცით და მათი დაძლევისათვის ვატარებთ ღონისძიებებს. ვცდილობთ, რომ ერთად და ერთნაირი მონდომებით იღვაწოს სკოლამ, თითოეულმა მასწავლებელმა, ოჯახმა და საზოგადოებრიობამ, მშობელთა კომიტეტმა, მამათა საბჭომ, ყოველი მოზარდის წმინდა სულის, ნათელი გონების, ჯანსაღი სხეულისათვის.

მ. ბენიძე.

ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი.

ყურადღება:

ახალი საკარანტინო დაავადებაა

ხეხილის ბაქტერიალური სიდამწვრე

საქართველოს მეხილეობას ემუქრება საშიში საკარანტინო დაავადება —ხეხილის ბაქტერიალური სიდამწვრე, რომელიც დაავადების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში გამოიწვევს ხეხილის 100 პროცენტით დაღუპვას.

ხეხილის ბაქტერიალური სიდამწვრე საბჭოთა კავშირში პირველად აღმოჩნდა 1989 წელს სომხეთის რესპუბლიკაში, დაავადება თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში იქნა აღმოჩენილი. ამჟამად დაავადებულია სომხეთის ცხრა რაიონი: ბაგრამიანის, ტალინის, ეჩმიაძინის, ოქტომბერიანის, მასისის, არარატის, ნაირის, აშტარაკის და აბოვიანის.

ბაქტერიალური სიდამწვრე ვლინდება ადრე გაზაფხულზე, მსხლის ჯიშების ყვავილობის დროს.

ბაქტერიალური სიდამწვრე აავადებს 170-მდე სახეობის მცენარეს, განსაკუთრებით მსხალს, აგრეთვე ვაშლს, კომშს, კუნელს, ცირცელას, ალუბალს, ქლიავს, ბალს, ჭერამს, ატამს, ნუშს, ზღმარტლს, ვარდს, გრაკას, ეოლოს, მარწყვს, კაკალს, ხურმას, მაყვალსა და სხვ.

ბაქტერიალური სიდამწვრით ავადდება ხის თითქმის ყველა ნაწილი. დაავადებული ხეხილი ცეცხლით გარუჯულის მსგავსია. ადრე გაზაფხულზე ახალგაზრდა ყლორტები, ახლად გაშლილი ყვავილები უეცრად ჭკნებიან და შემდგომში შავდებიან. ასევე შავდება ფოთლები, რომლებიც

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ყურადღება: ახალი საკარანტინო დაავადება

(დასასრული).

ხასიათდებიან ფოთოლხვევით და რჩებიან ხეზე. ქერქი რბილდება, იბერება და სკდება. მას ახასიათებს თეთრი ფერის გამონადენი —ექსუდატის სახით, რომელიც შემდეგ მუქდება. ზაფხულის ცხელ ამინდში ქერქი იწყებს გამოშრობას და ამ პერიოდში კარგად ჩანს საზღვარი ჯანმრთელ და დაზიანებულ ქსოვილებს შორის.

დაავადების გამომწვევი ბაქტერიების ჯანმრთელ მცენარეებზე გადატანა ხდება ფუტკრების, კრაზანების, ბუზების, ჩიტების, ტილების, სარგავი და სამუნობი მასალის, ტარის, ადამიანის ზემოქმედების საშუალებით. გარდა ამისა, ბაქტერიები ვრცელდებიან წვიმის წვეთებით, ნამით, ქარით და სხვა.

ხეხილის ნარგავები ბაქტერიალური სიდამწვრისაგან რომ დავიცვათ, ამისათვის ხაჭიროა აიკრძალოს სარგავი მასალის შემოტანა დაავადებული რაიონებიდან. სიდამწვრის აღმოჩენისთანავე დაავადებული მცენარე სასწრაფოდ უნდა ამოვძირკვოთ და ადგილზევე გავანადგუროთ სანიტარული წესების დაცვით, ხოლო ნაყოფი უნდა გადავცეთ გადასამუშავებლად საკონსერვო ქარხნებს. პროფილაქტიკური თვალსაზრისით ყვავილობის დროს ყველა ხე-მცენარე უნდა შეიწამლოს ბორდოს სითხით.

საეჭვო სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: თბილისი 380062. ჭავჭავაძის გამზ. 82. საქართველოს მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია. ტელეფონი: 23-40-55 ან 23-54-29.

რ. გურჩიანი,
ინსპექციის უფროსი.

ე. კვიცინაძე,
ლაბორატორიის გამგე,

ა. ძაგანია,
ბაქტერიოლოგი.

არ ძალმიძს დაგაბრუნო

(ჩანახაზი)

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...

ღამე დაათოვა ყორნისფერ სენაკს, შავი ღრუბელი დაათოვა ცას, აორთქლილა გაუანგისფერებული სივრცე, ბინდი გადაფარვია თვალისმომჭრელ მზესაც და იხურება თანდათან ცისფერ ლაქვარდებში ნახლართი კარი, კარი, რომელსაც ბავშვობა ჰქვია. და ისევ მინდა შენზე დავწერო, ბავშვობავ ჩემო! მიდიხარ და არ ძალმიძს დაგაბრუნო, მიდიხარ და არ ძალმიძს გაგიმეორო, ბავშვობავ ჩემო.

მზე იბეჭუტება რქამომტვრეული სარკმლიდან მოწვიმს..,
სულიც სველია..
თანდათან ჰუჰყი ეპარება უმანკო სულს, საიდანღაც დამჭკნარი ვარდების სურნელი მოდის, გულს ეთანაღრება რაღაც, რამეთუ ულმობელ დროს მიაქვს დაურიდებლად უმანკო, უცოდველი, სპეტაკი, უშფოთველი ბავშვობა ჩვენი, მიაქვს შორს, უსასრულობაში, სულის უკიდურეს წერტილში, სადაც ტკბილ და მწარე მოგონებად დარიალებს მუდამ.

ღმერთო ჩემო, რა მუხანათი რამ არის წუთისოფელი, წუთისოფელი, მხოლოდ წუთის, წამიერია ამქვეყნად ყოველივე, წარმავალია ამქვეყნად ყველაფერი, თავისი დრო აქვს ყველას და ყველაფერს.

მშვიდობით, ბავშვობავ ჩემო, მშვიდობით ცისფერ ლაქვარდებში ნახლართო სიყვარულო, უმანკოებავ, სისპეტაკე, სითეთრევ... მშვიდობით, ლამაზო, განუმეორებელო დღეებო ბავშვობისა... მშვიდობით ბავშვობავ, განუკურნელო ტკივილო და ცრემლო ჩემო! [illegible] იარავ ჩემო. მშვიდობით ბავშვობავ, [illegible] ბავშვობავ ჩემო!

წმინდა ნაფეხურები ჯერ კიდევ შემორჩენია იისფერ თოვლს, მაგრამ თანდათან ცა იქუფრება, ვატყობ, სულ მალე წამოვა შლეგი, გულღრძო ნიაღვარი და გადაშლის იმ სპეტაკ ნაფეხურებს, რომელსაც სევდიან მოგონებად სულის უკიდურეს კუნჭულში დაუდევს ბინა, იმ ნაფეხურებს, რომელსაც უიღბლო და იღბლიანი ბავშვობა ჰქვია.

ირმა ჩაკვეტაძე.

საქართველოში

გაღიდდა ობოლი ბავშვების მოვლა - შენახვის ნორმები

საქართველოში ყველაზე მეტად გადიდდა, ვიდრე მთელ კავშირში, ობოლი ბავშვების საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში მოვლა-შენახვის ნორმები. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ძალაში შევიდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვთა დამატებითი მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მშობლების მზრუნველობას არიან მოკლებულნი.

საქართველოს ბიუჯეტიდან ამ მიზნით ყოველწლიურად დამატებით დაიხარჯება ერთი მილიონი მანეთი. ამასთან უკვე წელს 540 ათას მანეთზე მეტია გამოყოფილი. ამის მეშვეობით 15 პროცენტით გაიზრდება კვების და 40 პროცენტით —ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და რბილ ინვენტარზე გაწეული ხარჯები თითოეულ აღსაზრდელზე გადაანგარიშებით. მათი რიცხვი კი დღეისათვის რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში 1300-ია.

ბავშვთა სოციალური დაცვის გაძლიერების მთავრობისეულ პოლიტიკას ყოველმხრივ უჭერს მხარს საზოგადოებრიობაც. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ბავშვთა ფონდმა შესაწირავების საშუალებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბავშვთა დაწესებულებების საჭიროებაზე 350 ათას მანეთამდე დახარჯა. ამ დღეებში გამოვა ფონდის ყოველკვირეულის—„მშობლიური კერის“ პირველი ნომერი, მუშაობას შეუდგება აგრეთვე მისი გამომცემლობა „ლაშარი“.

—ამის მეშვეობით გაიზრდება ჩვენი ფონდის შემოსავლები, რომელიც, როგორც ცნობილია, თვითონ გამოიმუშავებს თავის ადმინისტრაციულ ხარჯებს.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ფილოსოფია

ნუნუ დავითის ასულ მამარდაშვილს
მიშა ლევანის ძე უჩაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. კვლავაც მრავალი სიხარული შემატებოდეს თქვენს ოჯახს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აპარატის თანამშრომლები.

ზოთა ვარლამის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. სულ ასე კარგად გვენახო, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ლია, ლამარა, ლალი, დათო ჯემალ კოპალიანები.

განცხადება

ალპანის გოგირდოვანი სამკურნალო აბანო იჯარით გადაეცა პიროვნებებს.

აბანო კეთილმოეწყო, გაშვებულია საექსპლოატაციოდ. ელის დამსვენებლებს.

მეუღლე ვალერიანი, შვილები ნარგიზა, თენგიზი, ლამზირა, რძალი ნათელა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ კონსტანტინეს ასული ასათიანი-ჩაკვეტაძე.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 19 საათიდან. დაკრძალვა 5 ივლისს, ხუთშაბათს. გამოსვენება ქალაქ წყალტუბო, ლენინის ქუჩის გაგრძელებიდან, დაკრძალვა სოფელ ხომულში.

ანეტა სვანიძე, ვახტანგ მუშკუდიანი, გიზო ქარსელაძე, ოთარ ისიანი, ვაჟა ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ საღინაძე.

გერონტი, შურა, დათო, ნუშარ, ლუბა ლეთოდიანები, გივი ბენდელიანი, გრიშა შკუბულიანი, ოთარ გიორგის ძე ლიპარტელიან, ლუდვიგ ხეცურიანი, პოლიაქტოზ, თამაზ თაგვაძეები, მურადი მიქაძე, ნინა კოპალიანი, ლენა, თამაზ, ნოდარ, გელა საღინაძეები, ვარლამ, ბუბუ ფუტკარაძეები, ოთარ ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ საღინაძე.

თენგიზ კობერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა.

კასტერ ბობოხიძე.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მადონა და ლერი ჯაბურიებს, რეზო, მარინე მახარობლიძეებს სიძისა და ქვისლის

დათო ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ღუღუნი, დიდიმი, დადაში შკუბულიანები, კოლია ნემსწვერიძე, გრიგოლ სილაგაძე, სულიკო ყურაშვილი, ლითა ჩანქსელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ საღინაძე.

დისშვილი დავითი, ძმისშვილები გელა, ანზორ, დოდო, თამარ, ლილი, ნელი ასათიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარო ასათიანი-ჩაკვეტაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიკოოპერატივის, პურკომბინატის, საზკვების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა საღინაძეს და აზა ზურაბიანს ბიძაშვილის და ბიძის

გალაქტიონ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

დედა როზა, მეუღლე მანანა, შვილები ნინო, ნუნუკა, სიმამრი გურგენ ხუციძე, ცოლისდები მარინე, მადონა, ქვისლები რეზო მახარობლიძე, ლერი ჯაბურია, მამიდა ნელი ხუციძე, ბიძა ჯუსტან მურცხვალაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დათო დავითის ძე ჩიქოვანი.

დაკრძალვა 7 ივლისს, შაბათს ქ. თბილისში. გამოსვენება წყალტუბოს ქ. №1.

სამსონ კოპალიანი, ალეკო ჩიქოვანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ კონსტანტინეს ასული ასათიანი-ჩაკვეტაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა № [illegible], ტირაჟი [illegible]

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,